საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაზიკე

ლაზიკე, გეოგრაფიული პუნქტი, მდებარეობდა ნიკოფსიიდან (თანამედროვე ტუაფსე) ჩრდ.- დას-ით შავი ზღვის სანაპიროზე. ასახელებენ II ს. ავტორები ფლავიუს არიანე და კლავდიუს პტოლემაიოსი. არიანე მას „ძველ ლაზიკეს“ უწოდებს, რაც ამ ტერიტორიაზე კოლხური მოსახლეობის არსებობას ადასტურებს.

ლიტ.: ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, თ. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1983; ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა პ., გიორგი მერჩულე, თბ., 1954; ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე მ., აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 2012.